ბრძანება:**ბ47.47212361**

თარიღი:**24/08/2021**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 30 აგვისტოს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით

1.1. დაბა ჩოხატაურში თბილისის ქუჩაზე 300.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.807) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების ფორმით (სასყიდლიანი აღნაგობა) ულებით აუქციონის ფორმით გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე 28.12.22.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N 1 შენობის პირველ სართულზე არსებული N 1-1 არასაცხოვრებელი ფართი (12.96 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემოერკეთში მდებარე 28.12.21.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N 1 შენობის პირველ სართულზე არსებული N 6 არასაცხოვრებელი ფართი (28.82 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი